ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3674843

ნომერი: AR1554614

თარიღი : 03.11.2017

გაცემის თარიღი : 10.11.2017

გაცნობის თარიღი : 10.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 3/55) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

სამსახურს უნდა მომართოს მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ი.ბ.ა დრიმლენდ ვაკე, წარმოსადგენია ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში მის შესაბამისად შედგენილ კრების ოქმთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილებისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობით.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა რომ გსურთ ტერიტორიაზე განათავსოთ დროებითი საძირკვლის არმქონე შენობა-ნაგებობა დროებით,რომელიც განკუთვნილი იქნება დამხმარე-სამეურნეო დანიშნულების ობიექტად საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტოთ დაზუსტებით თუ რა ფუნქცია ექნება აღნიშნულ ობიექტს და დროებით რა ვადით მოხდება ობიექტის განთავსება.

ასევე ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟი არ შეესაბამება თქვენს მიერ მოთხოვნილ ფუნქციურ დანიშნულების ობიექტს საჭიროა აღნიშნული მოვიდეს თქვენს მოთხოვნასთან შესაბამისობაში და წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტომონტჟი ყველა გაბარიტული ზომის,ნიშნულისა და მასალის მითითებით.

გაითვალისწინეთ,შენობის კონსტრუქცია უნდა ითვალისწინებდეს: 60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის.

ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობის გეგმის და საკადასტრო საზღვრებთან მიბმის მანძილების ჩვენებით.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ ღიობის განთავსებით დაცული უნდა იქნას სამეზობლო მიჯნის ზონა (3 მეტრი).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.